დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები საქართველოს ეროვნული ბანკის №26/04 ბრძანების შესაბამისად

(ათასი ლარი)

2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეთა შორის განხორციელებული გარიგებების მიმდინარე ბალანსი:

	2015	***2014***
	„მშობელი ბანკი“	*„მშობელი ბანკი“*
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	75,577	1,294
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები მთლიანი	–	–
გამოკლებული გაუფასურების რეზერვი	–	–
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები წმინდა	–	–
სხვა აქტივები	–	704
ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	162,944	51,639
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	–	–
სხვა ნასესხები სახსრები	31,827	54,196
სუბორდინირებული სესხი	33,329	26,879
სხვა ვალდებულებები	230	382

2015 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით „მშობელი ბანკისგან“ მოზიდული სახსრების დაფარვის ვადები მერყეობდა 2016 წლის იანვრიდან 2016 წლის აგვისტომდე (2014წ.: 2015 წლის მარტიდან 2015 წლის დეკემბრამდე) და ერიცხებოდა წლიური საპროცენტო განაკვეთი 1%-დან 6.23%-მდე (2014წ.: 4.73%-დან 8.14%-მდე). „მშობელი ბანკისგან“ ნასესხები სახსრების დაფარვის ვადები მერყეობდა 2016 წლის თებერვლიდან 2019 წლის სექტემბრამდე (2014წ.: 2015 წლის თებერვლიდან 2019 წლის აგვისტომდე) და ერიცხებოდა წლიური საპროცენტო განაკვეთი 3.37%-დან 6.28%-მდე. (2014წ.: 3.52%-დან 8.95%-მდე).

2005 წლის 25 ოქტომბერს „ჯგუფმა“ „მშობელ ბანკთან“ გააფორმა ხელშეკრულება 12,000 აშშ დოლარის ოდენობით სუბორდინირებული სესხის მიღების თაობაზე, საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა ლიბორს +6%-ით. პროცენტის გადახდები წარმოებს კვარტალურად და სესხის გადახდის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 26 ოქტომბრამდე. 2014 წლის 13 ოქტომბერს „ჯგუფმა“ „მშობელ ბანკთან“ ასევე გააფორმა ხელშეკრულება 126,400 რუსული რუბლის ოდენობით სუბორდინირებული სესხის მიღების თაობაზე, საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა 11%-ით. პროცენტის გადახდები წარმოებს კვარტალურად, სესხის გადახდის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 13 ოქტომბრამდე. ვითიბის ჯგუფის ლიკვიდაციის შემთხვევაში, აღნიშნული სესხების დაფარვა მოხდება მხოლოდ „ბანკის“ ძირითადი კრედიტორების წინაშე არსებული ვალდებულებების დაფარვის შემდგომ.

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების შედეგად მიღებული შემოსავალი და ხარჯი ქვემოთ ცხრილშია წარმოდგენილი:

	2015	***2014***
	„მშობელი ბანკი“	*„მშობელი ბანკი“*
საპროცენტო შემოსავალი	5	2
საპროცენტო ხარჯი	(10,330)	(7,933)
სესხის გაუფასურების დანარიცხი	–	–
საკომისიო შემოსავალი	–	–
საკომისიო ხარჯი	(165)	(5)
წმინდა მოგება უცხოურ ვალუტაში შესრულებული გარიგებებიდან	(704)	(4,363)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(18)	-